პართენონის მხატვრული და ისტორიული ღირებულება

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

სავარჯიშო წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის

პართენონი ქალღმერთ ათენას მიმართ მიძღვნილი ტაძარია, რომელიც ძვ.წ.აღ. V საუკუნეში აშენდა. ბერძნებისთვის ათენა სიბრძნისა და სამართლიანობის დამცველის გარდა, უშუალოდ ქალაქ ათენის მფარველადაც მოიაზრებოდა. შესაბამისად, აკროპოლისის არქიტექტურულ ანსამბლში პართენონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მაშინ, როდესაც ბერძნებმა სპარსელები პერიკლეს მეთაურობით დაამარცხეს, გადამწვარი ათენის აღდგენა გადაწყდა. პერიკლემ პართენონის აგება იქტინოსა და კალიკრატესს, ხოლო შენობის სკულპტურებით შემკობა ფიდიასს დაავალა. პართენონი წარმოადგენს ძველი ბერძნული ცივილიზაციის სიმბოლოს. არქიტექტურის ისტორიაში დორიული სვეტის კოლონებზე დაფუძნებული მართკუთხედის ფორმის ნაგებობა პროპორციის, გარემოსთან ჰარმონიულად შერწყმის ერთ-ერთი საუკეთესო და სანიმუშო მაგალითია.

ტაძარი პენტელიური მარმარილოსგან არის აგებული, ხოლო გადახურვა სავარაუდოა, რომ ხის უნდა ყოფილიყო. პენტელიკონის მთა ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც მოყვითალო ფერის მარმარილო მოიპოვება. პართენონის ტაძრისთვის ამგვარი ქვის გამოყენება ბუნებრივი განათების ფონზე არქიტექტურის მხატვრულ ეფექტს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ათენას ტაძრის აგებაში ბერძენი ოსტატების სიმეტრიისა და წონასწორობის განცდასთან ერთად სრულად გამოვლინდა ზუსტი მეცნიერებების ცოდნა. ოპტიკური ილუზია, რომელსაც პართენონი ქმნის, პირველ რიგში, არის მთელ შენობაში სვეტებს შორის მანძილის სხვაობა. ბერძენმა ოსტატებმა გაითვალისწინეს, რომ ტაძრის სხვადასხვა რაკურსით აღქმისას, ერთმანეთისგან ზუსტად ერთნაირი მანძილით დაშორებული სვეტები თვალისთვის ურთიერთსიმეტრიულად განლაგებული არ იქნებოდა. ამიტომ მათ ასეთ ხერხს მიმართეს: ტაძრის კუთხის სვეტები ოდნავ უფრო შესქელებულად გამოთალეს, ტრიგლიფების სიგრძეები კი მეტოპებზე ოდნავ ქვემოთ ჩამოწიეს. ამასთანავე, ხაზები, რომლებიც თითქოს ჰორიზონტალურია, სინამდვილეში რამდენადმე დაკლაკნილია, ხოლო ვერტიკალური ხაზები - ოდნავ შეზნექილი .

გარდა ტექნიკური მიგნებებისა, პართენონის არქიტექტურა ღირებულია იმითაც, რომ მასში ასახულია ბერძნული მსოფლმხედველობა ადამიანისა და სამყაროს შესახებ. ბერძნულ არქიტექტურას, ისევე როგორც სხვა ნებისმიერს, აქვს დანიშნულება, ფუნქცია და ესთეტიკა. თუმცა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი - ეს არის სივრცის ხედვა. ათენას ტაძარი ქმნის სივრცეს, სადაც ადამიანის ადგილი ყოველთვის არის. შესაბამისად, პართენონის მაგალითზე ბერძნული კულტურის დამახასიათებელი ნიშნები ამგვარად შეგვიძლია განვაზოგადოთ: პანთეონთან ერთად ღმერთების ორიენტირებულობა ადამიანზე, სიცოცხლეზე, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

ტაძრის არქიტექტურულ გადაწყვეტასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია სკულპტორის, ფიდიასის, როლი. ფრიზის განლაგება პართენონის ოთხივე მხარეს წარმოადგენდა ათენას დღესასწაულის პროცესიას. მნიშვნელოვანია, რომ ვიზუალურად მსვლელობა არსად არ

იყოფოდა და აღმოსავლეთისკენ ერთიანი დინების შთაბეჭდილებას ტოვებდა . ხელოვანისთვის მთავარ სირთულეს მრავალფიგურიანი კომპოზიციის აგება წარმოადგენდა, რადგან სკულპტორს შინაარსი და კომპოზიციის საერთო რიტმი არ უნდა დაერღვია. ამიტომ, ფიდიასის გადაწყვეტილებით, მოძრაობა იწყებოდა ფიგურების გამოკვეთილი ჯგუფით, გრძელდებოდა ფიგურათა შედარებით მდორე მსვლელობით, რომელიც ნელ-ნელა კულმინაციურ მომენტს უახლოვდებოდა .

უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკურ ეპოქაში ხელოვნება და კერძოდ, ქანდაკება განვითარების უფრო მაღალ რეგისტრში ავიდა, რაც რეალისტური ფორმისადმი ინტერესში გამოვლინდა. ბერძენი ოსტატების რეალისტურ ფორმასთან დამოკიდებულება ფიგურის აგების ანატომიურ ცოდნაში, სამოსის დრაპირებით პოზის დაფიქსირებასა თუ დინამიკის შემოტანაში გამომჟღავნდა. გამოსახვის ფორმასთან დაკავშირებული ყველანაირი ცვლილება მსოფლმხედველობის ცვლილებიდან გამომდინარეობდა. ბერძენი ოსტატისთვის ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო მთავარი ღირებულება გახდა. შესაბამისად, ამოძრავებული სხეული ადამიანის სხვადასხვა ემოციასა თუ განწყობას გამოხატავდა . სიბრტყეზე ფიგურების რეალისტურად გამოკვეთა, რიტმულად მოძრაობა და იმავდროულად, მოწესრიგებულობა მაყურებლისთვის რიტუალური მსვლელობის სურათს ნათელს ხდიდა, რადგან ფრიზი პირდაპირ ადამიანების თვალწინ ცოცხლდებოდა. ხელოვანმა ამგვარი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით, ერთი მხრივ, მითოლოგიურ პერსონაჟებს ადამიანური, მიწიერი თვისებები მიანიჭა, ხოლო, მეორე მხრივ, შესრულების ხარისხითა და ოსტატობით ათენა, როგორც ქალღმერთი, განადიდა და პატივი მიაგო.

სავარჯიშო ტექსტის უკეთ გააზრებისთვის:

1. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რისი ქალღმერთია ათენა?
2. რატომ იყო ათენელებისთვის პართენონი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა?
3. გამოთვალეთ, რამდენი საუკუნის წინ აშენდა ათენას ტაძარი.
4. რა მასალისგან არის პართენონი აგებული?
5. რა გავლენას ახდენდა შერჩეული მასალა შენობის მხატვრულ ეფექტზე?
6. შენობის რა ნაწილის აგების დროს გამოვლინდა ბერძნების ცოდნა ზუსტ მეცნიერებებში?
7. რა არის არქიტექტურისთვის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგისთვის დამახასიათებელი?
8. რა არის პართენონის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი?
9. რა ნიშნებით ხასიათდება ძველი ბერძნული კულტურა?
10. რა ისტორიულმა მოვლენამ და მხატვრულმა გადაწყვეტამ გახადა პართენონი ძველი ბერძნული კულტურის სიმბოლო?
11. მოცემული ტექსტისა და 3D რეკონსტრუქციის მიხედვით, აღწერეთ, როგორი იყო ტაძრის ექსტერიერზე რელიეფების განლაგება.

12. ტექსტის მიხედვით, რა მნიშვნელობა აქვს ბერძნული ხელოვნებისთვის რეალისტურ ფორმას?
13. ტექსტისა და პრეზენტაციის დახმარებით აღწერეთ პართენონის რელიეფები და გამოყავით დამახასიათებელი ნიშნები.
14. რა ემოციურ დატვირთვას იძენს თქვენთვის, როგორც მაყურებლისთვის, პართენონის რელიეფები?
15. ბერძნული ხელოვნებისთვის ვინ/რა წარმოადგენს მთავარ ღირებულებას?

ლექსიკონი :

მსოფლმხედველობა - ადამიანის ყოვლისმომცველი შეხედულება ან კულტურის წარმოდგენა გარე სამყაროსა და ადამიანის არსებობის შესახებ.
აკროპოლისი - ბერძნულ ქალაქთა გამაგრებული ნაწილი, რომელიც მაღლობზე იყო შეფენილი.
არქიტექტურული ანსამბლი - შენობებისა და ნაგებობების საერთო იდეური და სივრცითი ერთიანობა.
რელიეფი - მოცულობითი გამოსახულება სიბრტყეზე.
ფრიზი - რელიეფური გამოსახულება ან ორნამენტული ზოლი, რომელიც ორდერებში ანტაბლემენტის შუა ჰორიზონტალურ ნაწილს წარმოადგენს.
მეტოპი - დორიული ორდერის ფრიზის არე, სადაც რელიეფური გამოსახულებით შემკულ ფილას ათავსებენ.
ტრიგლიფი - ვერტიკალურად დაღარული ფილა, რომელიც მეტოპთან მონაცვლეობით დორიულ ფრიზს შეადგენს